პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი
პარასკევი
2 მაისი
№ 102 (17745)
ფასი 2 კაპ.

გუშინ საბჭოთა კავშირის მშრომელებმა, მთელმა მსოფლიოს პროგრესულმა კაცობრიობამ, ყველა კეთილი ნების ადამიანმა, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობის, თავისუფლების, ხალხთა თანამეგობრობისა და სოლიდარობის იდეალები, ზეიმით აღნიშნეს 1 მაისის დღესასწაული.

მშრომელთა დემონსტრაციებმა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვსა და მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში პარტიის გარშემო საბჭოთა ხალხის მჭიდრო დარაზმულობის, მომავლის დიადი გეგმების უთუო შესრულებისათვის, სკკპ XXVI ყრილობის დირსეულად შეხვედრისათვის მზადყოფნის ნიშნით ჩაიარა.

მოსკოვი, 1980 წლის 1 მაისი. მშრომელთა დემონსტრაცია წითელ მოედანზე. სურათზე: ვ. ი. ლენინის მავზოლეუმის ტრიბუნაზე. (საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო).

მშვიდობიანი აღმშენებლობის კურსით

საპირველმაისო დემონსტრაცია მოსკოვის წითელ მოედანზე

1980 ქვეყნის სადღესასწაულო, საპირველმაისო დღეა განსაკუთრებულია: ალიონი წითელი ხსნიებით მოსავს ქალაქების, დაბების მორთულ ქუჩებს, გიგანტურ ახალშენებლობებს, წითელი ფერი — შთაგონებული შრომის სიხარულის სიმბოლო, რევოლუციისა და გამარჯვების სიმბოლო — დღეს სამშობლოს თვალუწვდენი სივრცეების მორთულობის მთავარი ფერია.

დგება სამშობლოს პირველი მაისის დილა — სიმღერისა და ლაშაფრენის, მშვიდობის, ბედნიერების, შრომის დილა. კიდით კიდემდე, კამჩატკის დათოვლილი ეზოებიდან კარპატების ფირუზისფერ ქედებამდე ბანაობენ კომუნისტის მშენებლთა ქვეყანა დღესასწაულზე. და მასთან ერთად საპირველმაისო დროშებქვეშ ამ დღეს დგება მსოფლიოს სხვადასხვა განედის მილიონობით მშრომელი.

კიდევ უფრო გალამაზდა, კიდევ უფრო გაახალგაზრდავდა მოსკოვი — საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის დიდაქალაქი. ახალი ქუჩები და მოედნები შეერწყმა მის დიდებულ, წითელი ფეროვნებით და ტრანსპარანტებით, ლოზუნგები მიხაკების თაიგულებით დამშვენებულ სახეს. და თითოეულ ეზოსა, პროსპექტს, სადაც ფანდა გადიოდეს ეი, ღღეს მიეკავათ ზეიმის მთავარი ადგილებაკენ — წითელი მოედნისაკენ.

წელს პირველმა მაისმა ესტაფეტა მიიღო მთელი პლანეტის ფესტივალისშესავალ დღესასწაულისაგან — ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის დღესასწაულისაგან. საბჭოთა ხალხმა ეს ღირსშესანიშნავი თარიღი ახალი შრომითი ტალღებით აღნიშნა და კიდევ ერთხელ დამაჯერებელი ნაბიჯი გადადგა წინ ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების იმ ერთანდიოზული პროგრამის განხორციელების გზაზე, რომელიც სკკპ XXV ყრილობამ მეათე ხუთწლედისათვის დასახა. ილიჩის სამშობლო გულდაჯერებით მიუახლოვდა ხუთწლიანი გეგმის ფინიშს.

მილიონობით მშრომელმა, იკისრა მიმდინარე წლის საწარმოო დავალებებისა და მთელიანად ხუთწლედის ვადამდე შესრულების გადიდებული ვალდებულებანი. ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოს ეხოვრებაში დიდი მოვლენა, სოციალისტური დემოკრატიის დღესასწაული გახდა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აშარჩევნები. მისცეს რა ხმა კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის კანდიდატებს — სოციალისტური საზოგადოების ყველაზე ღირსეულ მოქალაქეებს, საბჭოთა ადამიანებმა კვლავ ცხადყვეს ერთგულება ოქტომბრის საქმისადმი, ლენინის პარტიის საქმისადმი, მისწრაფება — იცხოვრონ, იმუშაონ ლენინურად, კომუნისტურად.

წითელი მოედანი საზეიმოდ არის მორთული, მზად არის სოლიდარობისა და შრომის საზეიმო მარშისათვის. „ახალმწიფო უნივერსალური მაღაზიის ფასადზეა უზარმაზარი პანო, მარქსის, ენგელსის, ლენინის პორტრეტები. წითელ ალროშებმე წარწერილია სიტყვები: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!“, „კომუნიზმი გაიმარჯვებს!“.

კრემლის კედლებზე 9 საათი და 50 წუთია. მოედნის ქვაფენილი ერთბაშად თითქოს ცოცხალი ხალიჩით დაიფარა: მას ავსებენ მანიფესტაციის მონაწილენი.

საპატიო სტუმართა ტრიბუნაზე არიან ლენინური პარტიის ვეტერანები, ოქტომბრის რევოლუციის მონაწილენი, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, გამოჩენილი მხედართმთავრები. მოწვეულთა შორის არიან პირველი ხუთწლედების დამკვრელები და დღევანდელი გმირები — წარმოების მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწენი, სსრ კავშირის კომონისტური პარტიის მფარველები.

სტუმართა შორის არიან სხვადასხვა ქვეყნის პროფკავშირულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის თვალსაჩინო მებრძოლები.

„ვაშა!“ შეძახილებით, მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით მოსკოველები და დელეგაციები სტუმრები მხურვალეთ და გულითადად მიესალმებიან კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელებს. მავზოლეუმის ცენტრალურ ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები: **ლ. ი. ბრეჟნევი, ი. ვ. ანდროპოვი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. პელშე, მ. ა. სუსლოვი, ნ. ა. ტიხონოვი, დ. თ. უსტინოვი, ც. უ. ჩერნენკო, მ. ს. გორბაჩოვი, პ. ნ. დემიჩევი, ვ. ვ. კუზნეცოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, ი. ვ. კაბანოვი, ვ. ი. დოლგიხი, მ. ვ. ზიმიანინი, კ. ვ. რუსაკოვი.**

აქვე არიან თვალსაჩინო საბჭოთა მხედართმთავრები.

დილის 10 საათია. გაისმის ტრადიციული ზარი. „ფრეგატი ჩემი სამშობლო...“ ფანფარების წკრიალა მელოდია — პროლეტარიატის ქვეყნების ხალხებისადმი, იმ ხალხებისადმი, რომლებმაც კოლონიური ყოფილი მოიშორეს და ეროვნულად ებრძვიან ერთგული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესის განმტკიცებისათვის.

„გაიმარჯოს საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ ლენინურ საგარეო პოლიტიკას!“ გაისმის მოედანზე.

მსვლელობის რვა ათასი მონაწილე ერთხმად გაიძახის „ლენინი, პარტია, კომუნიზმი!“. ომახიანმა „ვაშამ!“ ტალღასავით გადაუარა მთელ მოედანს.

პიონერები მავზოლეუმის ტრიბუნაზე ადიან და „კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი პირველი შემოვიდა წითელ მოედანზე. მოდიან ე. ა. ლიანაროვის ქარხნის — საბჭოთა ავტომობილმშენებლობის ფლაგმანის წარმომადგენლები. 1918 წლის ზაფხულში, როცა „ამოს“ ეწვია, ვ. ი. ლენინმა ილაპარაკა პირველი ამობით ავტომობილის მომავალი გამოშვების შესახებ. ახლა კონვეიერებიდან ყოველწლიურად ჩამოდის ორასი ათასზე მეტი მძლავრი სატვირთო ავტომობილი. ისინი მუშაობენ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, მოიპოვეს პოპულარობა მსოფლიოს ორმოცდაათ ქვეყანაში.

წითელი ტიროვნებთ, დროშებით, აყვავებული ვაშლის ტტოებით მორთული მოაქვს ავტოქარხნელთა კოლონას ტრანსპარანტი, რომელზეც პატაკია პირველი მაისისადმი: მიმდინარე წლის ოთხ თვეში გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია 640 ავტომობილი, ხუთასი მაკიავარი.

საზეიმო სვლის პირველ რიგებში ყოფნის უფლება დღეს მინიჭებული აქვთ იმათ, ვინც ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ხუთწლედის შრომითს მიღწევებში. თანამოსაქმე ამხანაგებთან ერთად დემონსტრაციაზე მოვიდა ზეინკალ-მძღოლი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ფ. კრანშევი — ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის აღსანიშნავად პირად ხუთწლიან დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების ერთ-ერთი ინიციატორი.

— ამ საზეიმო დღეს, — თქვა მან, — სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ ხუთწლედის მიჯნა ჩვენს ქარხანაში უკვე აიღო ექვსი ათასმა კაცმა. ბევრ მათგანს დედაქალაქში პირველს გადაეცა საზეიმო ვითარებაში სპატიო ლენინური სიგელები. ავტოქარხნელები წარმატებით წყვეტენ ამოცანებს, რომლებიც ოთხი წლის წინათ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა დაუსახა.

(დასასრული მე-2 გვ.).

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

1980 წლის 19 აპრილს გაიმართა სრულიად საკავშირო კომუნისტური შაბათობა, რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს მიეძღვნა.

შაბათობაში მონაწილეობდა დაახლოებით 150 მილიონი კაცი, რომლებიც შრომობდნენ ქარხნებსა და ფაბრიკებში, მშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, ტრანსპორტისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების საწარმოებში, აგრეთვე ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობაზე. მარტო სამრეწველო საწარმოებმა 842 მილიონი მანეთის პროდუქცია გამოიმუშავეს. შაბათობის დროს დარიცხულმა ხელფასმა 173 მილიონი მანეთი შეადგინა.

სრულიად საკავშირო კომუნისტურმა შაბათობამ ახალი ძალით ცხადყო საბჭოთა ადამიანების მაღალი შეგნება და პატრიოტიზმი, მათი უსაზღვრო ერთგულება ლენინის კომუნისტური პარტიისა საქმისადმი, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის მხურვალე მიზნრაფება, ღირსეული წვლილი შეიტანონ ქვეყნის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომ განმტკიცებაში. შაბათობის დროს საბჭოთა ხალხის უსახყიდლო და თავდადებული შრომით გამოვლინდა სურვილი, ვადამდე შეასრულოს 1980 წლის საგეგმო დავალებანი და სოციალისტური ვალდებულებანი, წარმატებით დაამთავროს მეათე ხუთწლედი და ახალი შრომითი გამარჯვებებით შეეგებოს სკკპ მომავალ XXVI ყრილობას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, საკავშირო პროფსაბჭო და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი გულითად მადლობას უძღვნიან მუშებს, კოლმეურნეებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს, ომის, და შრომის ვეტერანებს, საბჭოთა არმიისა და ფლოტის მეომრებს, სტუდენტებსა და მოსწავლეებს—ყველას, ვინც აქტიურად მონაწილეობდა კომუნისტურ შაბათობაში.

შაბათობის შედეგად მიღებული სახსრები მოხმარდება დედათა და ბავშვთა სანატორიუმების, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების მშენებლობას და ომისა და შრომის ვეტერანთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებას.

ნოგათი სამშობლოს!

● **თბილისი** № 1 ტრიკოტაჟის ფაბრიკის კოლექტივმა შეასრულა ოთხი თვის საწარმოო გეგმა და საპირველმაისოდ გამოუშვა კიდევ ორმოცდაათი ათასი მანეთის პროდუქცია.

წარმატება უზრუნველყო შრომის ახალი ორგანიზაციის დანერგვამ, რომლის დროსაც ყველა უბანზე შექმნილმა გამჭოლმა ბრიგადებმა გააძლიერეს ოპერაციობრივი კონტროლი პროდუქციის დამზადებისადმი. ამან კი არა მარტო დააჩქარა საწარმოო ციკლი, არამედ ხელიც შეუწყო პროდუქციის ხარისხის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. ახლა ფაბრიკის მარკიანი ყოველი მეხუთე ნაწარმი აღნიშნულია ხარისხის ნიშნითა და ინდექსით „ს“ — სიახლე. (საქინფორმი).

● **გეგეჭკორი** საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის საბჭოს კოლექტივს, რომელმაც შარშანაც გადამეტებით შეასრულა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმები, მიმდინარე წელსაც არ შეუნელებია შრომის ტემპი და 170.000 მანეთის ნაცვლად შეასრულა 176.000 მანეთის სამუშაოები, რითაც უზრუნველყო პირველი კვარტალის გეგმის გადამეტებით შესრულება. საექსპლოატაციოდ გადაცემულმა ობიექტებმა კარგი შეფასება დაიმსახურეს.

მშენებელთა წლევანდელი საბრძოლო ამოცანაა შეასრულონ 1 მილიონ 9 ათასი მანეთის სამშენებლო სამუშაოები.

საპირველმაისოდ გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ შრომის წითელი დროშის ორდენოსანი მხეხვიმედაზგე ლ. კვეხელავა, დურგლები ხ. ციკოლია და მ. ჩქოფოია, კალატოზი რ. კანკია, მეამწე გრ. ჯიჯელავა, ბრიგადირი ა. წულაია, მშენებლობის ოსტატი ვ. ბაღიშვილი, ავტომძღოლი ბ. ჯანჯღავა და სხვები. ისინი დღიურ დავალებებს 105-110 პროცენტით ასრულებენ. (საკ. კორ).

● **ლენინგორი.** ლენინგორის რაიონის მეცხოველეებმა შეასრულეს ცხვრის ნამატის მიღების ვალდებულება. ყოველ ას ნერბზე მიღებულია 93 ბატკანი, გეგმით გათვალისწინებული 85-ის ნაცვლად. ცხვრის სულადობა 40 ათასით გაიზარდა. ყიზლარის საძოვრებზე დოლი გრძელდება. ლენინგორის რაიონის მთელი რიგი მეურნეობების მოწინავე მეცხვარეებმა ვალდებულება იკისრეს ყოველ 100 ნერბზე მიიღონ და გამოზარდონ 100 ბატკანი. (საქინფორმი).

ხუთწლედის დამამთავრებელ წელს — ჩვენი დამკვრელური შრომა!

თბილისის მშრომელთა წარმომადგენლების საპირველმაისო დემონსტრაცია

მაისოგბის ნათელი, სასიხარულო დღესასწაული დადგა საქართველოს მიწა-წყალზე. შრომისა და გაზაფხულის სადიდებლად, ალოთა მეგობრობის სადიდებლად აფრიალდა წითელი დროშები.

წლევანდელი პირველი მაისის დღესასწაული განსაკუთრებულია. თელ ქვეყანასთან, მთელ პროლეტარულ კაცობრობასთან ერთად ესპუბლიკის მშრომელებმა ესს არის აღნიშნეს ულადიმერ ლიას ძე ლენინის, პლანეტის დიდი ადამიანის, კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოს ელი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის დაბადების 110-ე წლისთავი. ამ სახელოვანი თარიღისადმი მიძღვნილ სრულიად საკავშირო კომუნისტურ შაბათობაზე რესპუბლიკის 2,5 მილიონზე მეტი მშრომელი გამოვიდა. შრომის ეს ნათელი დღესასწაული მათ ხელიშნეს უდიდესი ნაყოფიერებით — შეასრულეს თითქმის 18 მილიონი მანეთის სამუშაოები.

რამდენიმე დღის შემდეგ კი საბჭოთა ხალხი ზეიმით აღნიშნავს უმძიმეს ომში ფაშიზმზე დიადი გამარჯვების 35-ე წლისთავს.

ახლანდელი პირველი მაისი დათვალიერებაა იმ მიღწევებისა, საქართველომ და მისმა დედაქალაქმა თბილისმა რომ მოიპოვეს სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის დაძაბული, ალეთილშობილური შრომით. რესპუბლიკის მშრომელებს საამაყო მეორე ადგილი — 1979 წლის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით საქართველო და მისი დედაქალაქი, მთელი რიგი ქალაქები და რაიონები, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოები სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით დაჯილდოვდნენ.

მთელ რესპუბლიკაში ახალი ძალით გაჩაღდა შეჯიბრება სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს XXVI ყრილობის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის სახელოვანი მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

მშრომელთა გადაწყვეტილება მტკიცეა: ხუთწლედს შევასრულებთ, ღირსეულად შევხვდებით ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენებს.

ყოველივე ეს დემონსტრანტთა საღღესასწაულო კოლონების გაფორმებაშიც იგრძნობა.

რუსთაველის პროსპექტი თბილისელთა ტრადიციული სადღესასწაულო სვლის ადგილია. საქართველოს სსრ მთავრობის სახლთან ალმართული ტრიბუნებზე ეხედავთ პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს, მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეებს, სამრეწველო საწარმოებისა და მშენებლობების წარჩინებულ ადამიანებს, სახელოვანი მშრომელი გლეხობის, წარმომადგენლებს, საბჭოთა არმიის გენერლებსა და ოფიცრებს, პარტიის, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის ვეტერანებს.

დილის 10 საათია. ცენტრალურ ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები **ე. ა. შევარდნაძე, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, გ. ვ. კოლბინი, ო. თ. კულიშევი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ხ. ე. ხაბეიშვილი, თ. ი. მოსაშვილი, ფ. კ. შარტავა,** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **ვ. მ. სირაძე,** რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები **ვ. ი. ვადაჭკორია, ო. გ. ვარძელაშვილი, დ. ლ. ქართველიშვილი, ი. ი. ქედეშვილი,** თბილისის სახალხო დეპუტატთა გარდამავალი წითელი დროშებით დაჯილდოვდნენ.

(დასასრული მე-3 გვ.).

მშვიდობიანი აღმშენებლობის კურსით

(დასასრული)

ხა მათ ჩვენს კოლეკტივთან შეხვედრის დროს. ხუთწლედის წლებში შრომის ნაყოფიერება საწარმოში მეოთხედით და მეტად გაიზარდა. ახლახან კონვეიერიდან ჩამოვიდა დიზელმაძრავიანი ახალი ავტომობილი. იგი გაკეთებით უფრო ეკონომიერია წინა მოდელებთან შედარებით, შეუძლია ავტომატურაენის შემადგენლობაში მეტი ტვირთის გადაზიდვა. ეს ეფექტიანი და ხარისხიანი მანქანები უკვე მონაწილეობენ გაზაფხულის ალაობაში.

თანმიმდევრულად განვახორციელოთ მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების კურსი სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში — ეს დიდმნიშვნელოვანი ამოცანა კვლავ ბაზგასმით აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებში. ავამაღლოთ მუშაობის ეფექტიანობა, ხარისხი — ეს ნიშნავს ხელი შევუწყოთ ქეთილდღეობის შემდგომ გაუჯობესებას, ჩვენი სამშობლოს ძლიერების, თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას. პარტიის ამ დავალების განხორციელებაში მონაწილეობა თითოეული საბჭოთა მშრომელის ყოველდღიური საქმიანობის დამახასიათებელი ნიშანია.

— მიმდინარე წელი განსაკუთრებულია: უნდა შეეჯამოთ ხუთწლედის დამამთავრებელ წელს ჩვენი მუშაობის შედეგები, განვსაზღვროთ მომდევნო ხუთწლედის ამოცანები, — გვიჩვენებს თვის აზრს ვლადიმერ ილიას ძის სახელობის ელექტრომექანიკური ქარხნის სადღესასწაულო კოლონის მეწინავე, მჭედელთა ბრიგადირი, ოქტომბრის რევოლუციისა და შრომის წითელი დროშის ორდენების კავალერი ნ. მეტიოლკინი.

— სწორედ ამიტომაც ვართ მოწოდებულნი ვიშრომოთ მეტი აღმავლობითა და თავდადებით. ვამაყობ, რომ ჩვენი ქარხნის პროდუქციას ქვეყანაში პირველს მიენიჭა სახელმწიფო ხარისხის ნიშანი, პირველი მაისის წინ, 22 აპრილს, კიდევ ოთხ დასახელების ელექტროძრავებს მიენიჭა საპატიო ხუთკუთხედი. ჩვენ, ილიჩოველი კომუნისტები, ვადგავართ პარტიის მიერ დასახულ მტკიცე კურსს — პროდუქციის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების, მთელი ჩვენი მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების კურსს.

„შექმენით დიდმწარმოებლური, ეკონომიური და სამედო მანქანები, ხელსაწყოები, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებები! ყოველნაირად შეუწყვეთ ხელი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას!“

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთი საპირველმაისო მოწოდების ამ სიტყვებით სრულიად სამართლიანად შეიძლება მიემართოთ ზეთელ მოედანზე შემოსულ სადღესასწაულო კოლონის მონაწილეებს. ესენი არიან სსრ კავშირის 50-ე წლისთავის სახელობის ავტომატური ხაზების ქარხნის წარმომადგენლები. ამ საწარმოს საამქროებში დამზადებული ხაზები და სპეციალური ჩარხები საიმედოდ მუშაობენ კამისის ბაზრის საავტომობილო ქარხნებში, ქვეყნის სხვა უდიდეს ქარხნებში. დღეს ყველგან არის ცნობილი დედაქალაქის ჩარხშენებელთა კოლექტივის თაოსნობა: „ხარისხის გარანტია — პროექტიდან ნაწარმამდე“.

საპირველმაისო მარშზე არიან ისინი, ვინც ქმნის უნიკალურ მოწყობილობას საამქრო-ავტომატებისათვის, მთლიანად ავტომატიზებული საწარმოებისათვის. ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებთან ერთად საზეიმო მწყობრში არიან ომის ვეტერანები, რომელთა მხედრული გმირობა და მშვიდობიანი შრომა სამშობლოს ჯილდოებით აღინიშნა. მათ შორისაა ზეინკალი, საამქროს პარტიული ორგანიზაციის მდივანი ბ. ტოპორკოვი.

— ამ პირველ მაისს ჩვენ ვზეიმობთ მეორე ლენინსანმნახავი მოვლენის — დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 35-ე წლისთავის წინ, — თქვა მან. — ყველა ჩვენმა ფრონტელმა მუშამ გადაწყვიტა სამახსოვრო თარიღი აღნიშნოს შრომითი ნობათით — 9 მაისისათვის შეასრულოს ნახევარი წლის დავალება, ჩვენ, ომის ვეტერანებმა, კარგად ვიცით მშვიდობის ფასი. აი რატომ აღაშფოთებს ესე ძლიერად თითოეულ ჩვენგანს ავანტიურისტული კურსი ამერიკის ადმინისტრაციისა, რომელიც ცდილობს დაამბარუნოს პლანეტაზე „ცივი ომის“ ყველაზე შავბნელი დრო, გადაქცეოს ევროპა პენტაგონის სარაკეტო პოლიგონად. ჩვენი შრომით კვლავაც განვამტკიცებთ საყვარელი სამშობლოს ძლიერებას, რომელსაც არ აშინებს საერთაშორისო იმპერიალიზმისა და რეაქციის ყოველთანარი ხრიკი...

საბჭოთა ადამიანების შრომითი ენთუზიაზმის მკაფიო მაგალითად გახდა საკავშირო კომუნისტური შაბათობა. სხვებთან ერთად ამ დღეს დამკვრელურად იშრომა მილიონობით მოსკოველმა. საბჭოთა ხელისუფლების გაროვრაზე კი ქვეყნაში შაბათობათა მოწყობის ინიციატორი იყო მოსკოვის სახარისხებელი სალოკომოტივო დეპოს კოლექტივი. ვ. ი. ლენინმა სწორედ ამ თაოსნობაში დაინახა კომუნიზმის ფაქტობრივი დასაწყისი.

სახელოვან ტრადიციას განაგრძობენ და ავითარებენ საწარმოს მშრომელთა ახალი თაობები და ყოველდღიურად დამკვრელურად შრომობენ. დეპოს მემანქანეებმა ერთ-ერთმა პირველებმა დაიწყეს გადიდებული წონის — ექსაათასტონიანი მატარებლების ტარება, რაც დიდ მესაძლებლობებს უსახავს ფოლადის მაგისტრალების გამტარუნარიანობის გადიდებას, დიდძალი ენერგორესურსების დაზოგვას. მარტო მარშან ნორმის გადაჭარბებით გადაიზიდა რვა მილიონი ტონა ტვირთი.

ელმავალთა მემანქანეების სადღესასწაულო რიგებში მეწინავენი არიან დ. ბოგდანოვი და ა. სოლოვიოვი, რომლებმაც ათთვისეს ორნახსოული წონის — ათიათასტონიანი შემადგენლობათა ტარება.

— დღეს ჩინებულ გუნებაზე ვართ, თქვეს მოწონებებმა. პირველი მაისის წინ ქვეყანაში პირველად გაიხსნა რიაზანსა და მოსკოვს შორის მძიმე წონის მატარებლების რეგულარული მიმოსვლა.

დეპოს მემანქანეთა გამოცდილება საყოველთაო კუთვნილება გახდა. დღეს მძიმეწონიანი შემადგენლობანი დაჰყავს მოსკოვის რკინიგზის, სხვა ფოლადის მაგისტრალების ასობით სალოკომოტივო ბრიგადას.

წითელ მოედანზე შემოდიან დემონსტრანტების ახალი კოლონები. ტრადიციისამებრ ოქტომბრის რაიონის წარმომადგენელთა სადღესასწაულო სვლას. მეთაურობენ ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ მოწინავენი. საწარმოს მატიანეა — 1905 წლის ბარიკადები კრასნაია პრესნიაზე, ბრძოლები იუნკრების წინააღმდეგ ქვის ნიდთან და ოსტოჟენკასთან 1917 წელს, პირველი ხუთწლედების წლებში ინდუსტრიალიზაციის დაუვიწყარი ხანა. დღეს ყოველი მესამე ხარატი ჩვენს ქვეყანაში დედაქალაქის ქარხნის მარკიანი ჩარხით მუშაობს.

ჩარხშენებელთა კოლონაში მოდიან საწარმოს საუკეთესო წარმომადგენლები, ოცდაათწლეზი მეტია ამ ქარხანაში მუშაობს ი. ლარინი. აქ აითვისა მან ზეინკლის საქმე, გახდა უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტი, ხელმარჯვე ოსტატი.

— ჩვენ, „კრასნოპროლეტარელები, ვამაყობთ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ჩვენი ქვეყნების მონათესავე საწარმოების კოლექტივებთან ინტერნაციონალური ურთიერთობით, — გვიამბობს იგი. — მეგობრობა გვაკავშირებს კოლეგებთან ბულგარეთში, ვიეტნამში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, პოლონეთში. მჭიდრო თანამშრომლობა აჩქარებს წარმოების განვითარებას, ხელს უწყობს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საერთო მიღწევების სწრაფ დანერგვას. „კრასნოპროლეტარელებმა შეასრულეს ვიეტნამელ ჩარხშენებელთა დიდი შეკვეთა, მნიშვნელოვნად დააჩქარეს მოწყობილობის დამზადება და მიწოდება ქვეყნისათვის, რომელიც ქმნის მრეწველობის ახალ დარგს. ჩვენი საზღვარგარეთელი მეტერნაციონალიზმს — საერთაშორისო მუშათა კლასის ნაკად და მძლავრ იარაღს!“ —წერია ლოზუნგზე, რომელიც დემონსტრანტთა კოლონას მოაქვს. ქარხანა „ნამგლისა და ეროს“ წარმომადგენელი, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მეფოლადე ვ. კოპტევი განაგრძობს საუბარს სხვა ქვეყნების ხალხებთან საბჭოთა ადამიანების სოლიდარობის შესახებ:

— ჩვენ ვეხმარებოდით და კვლავაც დავეხმარებით მეგობრებსა და ყველას, ვინც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის იბრძვის. საბჭოთა ადამიანები მუდამ მშვიდობიანად ცხოვრობდნენ ავიღილ ხალხთან. ამიტომ არის, რომ ჩვენი ამხანაგების სახელით მტკიცედ მოვითხოვ ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი მოკავშირეებისაგან დაუყოვნებლივ შეწყვიტონ შეიარაღების პროგრესიები ევროპის წინააღმდეგ, რომლის ხალხი მამაცურად იცავს ანრილის რევოლუციის მონაპოვრებს.

ყვავილებით, ალისფერი დროშებით მოდიან წითელ მოედანზე მთელ ქვეყანაში ცნობილი დედაქალაქის საწარმოების: № 1 საუპირველესი, დამკვრელური ობიექტებია. სადღესასწაულო კოლონაში არიან № 3 სახლთსაშენებელი კომბინატის ა. ტიხონოვის „კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის წევრები.

—ჩვენს კოლექტივს წილად ხვდა დიდი პატივი — ეაშენებინა ოლიმპიური სოფელი,—თქვა ბრიგადირმა,—ეს პროფესიული სიმწიფის სერიოზული გამოცდა იყო. და იგი წარმატებით ჩავაბარეთ. ცხრა შენობიდან რვა „ჩინებული“ შეფასებით გადავეცით საექსპლოატაციოდ.

მუშაობის ოლიმპიური ტემპი ყოველდღიურ ნორმად იქცა ბრიგადისათვის, კოლექტივი აგებდა შენობას, რომელიც საბჭოთა სახლთმშენებლობის პრაქტიკაში პირველად გაივლის ატესტაციას ხარისხის სახელმწიფო ნიშანზე. დღეს ახალგაზრდა მშენებლები სამშობლოს უპატაკებენ: პირველი მაისს წინ სახლი საექსპლოატაციოდ გადავეცით ვადამდე, „ჩინებული“ შეფასებით.

დიდი წვლილი მიუძღვით დედაქალაქის მშენებლებს მოსკოვის სანიმუშო კომენსტერ ქალაქად გადაქცევაში. მშვენდება ცენტრალური რაიონები, მოსკოვის ოლქის სოფლების ადგილას აშენდა საცხოვრებელი მასივები—ბიბირევო, ოტრადნოე, ტიოპლი სტანი, ორეხოვო-ბორისოვო. პატივიც შრომის მიხედვითაა. პირველი მაისის წინ დედაქალაქის არქიტექტორთა და მშენებელთა ჯგუფს ლენინური პრემია მიენიჭა მოსკოვის კომპლექსური განაშენიანების „პრინციპულად ახალი მეთოდის შექმნისა და განვრგიბისათვის. დღეს უკვე ქალაქის სახლების ორმოც პროცენტზე მეტი შენდება უნიფიცირებული დეტალების ერთიანი კატალოგის კონსტრუქციებით. ახლა დედაქალაქში ყოველ წუთს მონტაჟდება ერთი კომფორტული ბინა—სახლთმშენებლობის კონვეიერის ასეთი რიტმი არ ახსოვს მსოფლიოს არც ერთ ქალაქს.

წეთელ მოედანზე შემოდიან დემონსტრანტთა სულ ახალ-ახალი კოლონები. კომბინი „ნივა“ გამოსახული პანნაზე, რომელიც მოაქვთ მოსკოვის კ. ა. ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის მასწავლებლებსა და სტუდენტებს.

— მაისი, გაზაფხული... ჩვენთვის ეს პოეტური სტატეკები ნიშნავს თესვის დაწყებას, ბრძოლას ახალი მოსავლისათვის, — ამბობს აკადემიის რექტორი მ. სინიუკოვი. — ამ საერთო-სახალხო საქმეში ჩვენს უმაღლეს სასწავლებელს წილად ხვდა საპატიო ადგილი — იყოს ქვეყნის სოფლის მეურნეობისათვის კადრების მთავარი სამკედლო. საბჭოთა სტუდენტებთან ერთად ჩვენთან სწავლობენ მსოფლიოს ორმოცდაათი ქვეყნის ქალიშვილები და ჭაბუკები. აკადემიის მეცნიერებს მუდმივი შემოქმედებითი კავშირი აქვთ ცხრაას კოლმეურნეობასთან, საბჭოთა მეურნეობასთან, საწარმოო ეკონომიკასთან. წარმოებაში ჩვენი აკადემიის მეცნიერული რეკომენდაციების დანერგვით მიღებულმა საერთო ეკონომიკურმა ეფექტმა შარშან 45 მილიონ მანეთს გადააჭარბა.

„საბჭოთა მეცნიერებო! ამაღლეთ კვლევის ეფექტიანობა, გადაალაცეთ მეცნიერების „კავშირი წარმოებასთან!“ — ეს ტრანსპარანტი ფრიალებს საპირველმაისო კოლონის თავზე. მოსკოვის ინსტიტუტებისა და სამეცნიერო დაწესებულებათა კოლექტივებმა თანამეგობრობის ასობით ხელშეკრულება დადეს სამეწარმეო საწარმოებთან. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კოლონაში არიან თვალსაჩინო მეცნიერები, რომელთა შემოქმედებითს ნაშუშევრებს არსებითი წვლილი შეაქვთ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში, ხელს უწყობენ კოსმოსის წარმატებით ათვისებას.

სტუმართა ტრიბუნაზეა სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი გენერალ-მაიორი პ. ი. კლიმუკი:

დიალექტიული მაქვს დიდი კოსმოსური სალამი გადმოგცეთ და ყოველივე საუკეთესო გისურვოთ 1 მაისის დღეს ლენინდ ბოლშევიკა და ფალერი რიუმინის სახელით, — თქვა მან. — დღეს კოსმოსის ათვისება, ხანგრძლივი ფრენა კოსმოსურ სივრცეში ჩვეულებრივი და, შეიძლება თქვას, ყოველდღიური საქმიანობა გახდა. მაგრამ ყოველივე ამის მიღმა დგას მეცნიერთა და კონსტრუქტორთა, კოსმონავტთა, სულ სხვადასხვა პროფესიის სპეციალისტთა ნამდვილი ვმირობა. კოსმოსი მშვიდობის საქმეს, მთელი კაცობრიობის კეთილდღეობას უნდა ემსახურებოდეს — ეს მიაჩნიათ ორბიტაზე ძნელი მუშაობის დედაარსად ჩემს ამხანაგებს — კოსმონავტებს.

ზეიმობს წითელი მოედანი. გაისმის შეძახილები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხალხის სადიდებლად. ყოველი ახალი კოლონა, რომელიც მაგზოლეუმის წინ მიდის, ეს არის თავისებური პატაკი ქვეყნის მიღწევების შესახებ. დედაქალაქის მუშათა კლასთან ერთიანად მწყობრში საპირველმაისო დროშებით მოდიან ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, მოსამსახურენი, მასწავლებლები, შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები. „ხელოვნებისა და შრომის კავშირის“ — თვით ცხოვრებით ჩამოყალიბებული ეს დევიზი მხატვართა, მსახიობთა, კომპოზიტორთა, მწერალთა პროგრამა გახდა.

დემონსტრანტთა კოლონაშია პოეტი ვ. ფირსოვი. მან თქვა:

— წლევანდელ პირველ მაისს აღვნიშნავთ გამარჯვების დიდი დღესასწაულს წინ. ყოველი ახალი გაზაფხული სულ უფრო გვიმორებს ამ ისტორიულ დღეებს. მაგრამ ისინი არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ. ეს ნათქვამია მთელი მსოფლიოსათვის ცნობილ ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევის ტრილოგიაში, ეს არის ხალხის ჭეშმარიტად მართალი სიტყვა თავისივე თავის შესახებ. ვერც ერთი ადამიანი ვერ დარჩება გულგრილი ამ წიგნისადმი. მას ყველა ეხმაურება. ეს არის ვაჟკაცობისა და ყოვლისმძლე სიმართლის მატიანე. ისინი ხალხურია შინაარსით, მართალია არსითა და სადა ფორმით, როგორც სადა და შინაარსიანია ხოლმე გონიერი, კეთილი, გულისხმიერი, მრავალმოყვარე და დიდი ხალხის სიტყვა.

საბჭოთა ხალხის ამრეული მატიანეს განაგრძობს მისი ნორჩი თაობა — კომკავშირი. წითელ მოედანზე ჩაიარეს სტუდენტთა სამშენებლო რაზმების ფორმაში გამოწყობილმა ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა. ლენინის იუბილეს წინ ქვეყნის ხუთწლედის დამკვრელურ მშენებლობებზე გაეგზავნა შვიდათასიანი „კავშირო დამკვრელური კომკავშირული რაზმი „ახალგაზრდა გვარდიელი“.

„კომუნიზმის მშენებელ დიდ საბჭოთა ხალხს — დიდებას!“ — გაისმის მოედანზე.

„გაუმარჯოს 1 მაისს — იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს!“.

პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობის ახალი, მკაფიო დადასტურება გახდა მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლების საზეიმო დემონსტრაცია. მან ცხადყო საბჭოთა ადამიანების მტკიცე გადაწყვეტილება წარმატებით შეასრულონ 1980 წლისა და მთლიანად ხუთწლედის დავალებანი, ხარისხი შეასახონ XXIV ყრილობის მიერ დასახულ პროგრამას, ახალი შრომითი მიღწევებით აღნიშნონ ჩვენი პარტიის მომავალი, XXVI ყრილობა. საბჭოეთი გულდაჯერებთ მიდის კომუნიზმის გზით.

ზეთელი მოედნიდან რეპორტაჟს გადმოსცემდნენ საქმდესის კორესპონდენტები ა. ბელიკოვი, ს. კორეპანოვი, ვ. პეტრენკო, ა. რიაბოვი.

მოსკოვი, 1980 წლის 1 მაისი. წითელ მოედანზე მშრომელთა საპირველმაისო დემონსტრაციის დროს. (საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო).

ხალხთა ძმურ ოჯახში

ლენინგრადი

სასასლის მოედანზე „ამერიკელი საპირველმაისო დღესასწაულის დროს არის ხოლმე განსაკუთრებით საზეიმო, ამაღელვებელი წუთები, როდესაც სამრეკლოუციაგამოვლილ მოედანზე გამოაქვთ გმირი ქალაქის ალისფერი დროშა. დიდი პატივია ლენინგრადელ სადღესასწაულო დემონსტრაციას გაუძღვე ამ დროშით.

დღეს ორდენის ლენტებით შეკაზული დროშა ხელთ უპყრია წარჩინებულ გემმშენებელს თ. ვ. ვიშნიაკოვს. თოთხმეტი წლის ყმაწვილი იყო, როდესაც იგი მრისხანე 1943 წელს მოვიდა ბალტიის ქარხანაში. ახლა ვიშნიაკოვის „ფლოტილია“ ას გემს ითვლის. ამ გემებს ჩაექსოვა მან თავისი ნიჭი, ოსტატობა, მუშური გამჭრიახობა.

ამაყად ფრიალებს ქალაქის დროშა. ტრადიციისამებრ სადღესასწაულო მარშის წინ გემმშენებლებმა ყვავილებით შეამკეს გემქარხნებთან აღმართული ობელისკი. გრანიტზე გამოკვეთილია სიტყვები: „აქ ა. ა. ჟდანოვის სახელობის ქარხნის (ყოფილი პუტილოვის გემთსაშენე) რაიონში 1891 წლის 5 მაისს პეტერბურგელმა მუშებმა მოაწყვეს რუსეთის პირველი რევოლუციური მაისობა“.

ლენინის მეშორიალებიდან, ქარხნების გასასვლელებიდან, სამშენებლო მოედნებიდან დაიწყეს სვლა კოლონებმა, რომლებიც ამაყად მიაბიჯებენ სასახლის მოედანზე.

მშრომელ ლენინგრადს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საბჭოთის — ქვეყნად მშვიდობის საიმედო ბურჯის ეკონომიკური ძლიერების განმტკიცების საქმეში.

კიევი

ქალაქის გერბზე, რომელიც დღეს მრავალ სადღესასწაულო პანოსა და ტრანსპარანტზეა გამოსახული, მოჩანს წაბლის ყვავილი: საბჭოთა უკრაინის დედაქალაქის მშვიდობიანი აყვავების სიმბოლო.

მიღწეული წარმატებებისათვის სიამაყის გრძნობით, შემოქმედებითი გეგმებით აღსავსენი, ახალი მიღწევების მოპოვების ურყევი მისწრაფებით გამოვიდნენ საპირველმაისო დემონსტრაციაზე კიეველები. ხუთწლედის დამამთავრებელი წლის პირველ კვარტალში რესპუბლიკის დედაქალაქის მრეწველობამ უზრუნველყო ათმილიონობით მანეთის ზეგეგმითი პროდუქციის რეალიზაცია.

როგორც ომისშემდგომი აღორძინების პერიოდში, ისევე ახლაც, კიევის, ამ უძველესი ქალაქის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია სამშენებლო ამწეები. ჩნდება ახალი კეთილმოწყობილი უბნები, მშენებლის პროფესია უკრაინის დედაქალაქში კვლავინდებურად ერთ-ერთი ყველაზე საპატიოა.

დიდი ხანია ამ პროფესიას დაუკავშირა თავისი ბედი მემონტაჟეთა ბრიგადირმა, სოციალისტური შრომის გმირმა ი. ი. ბუშმამ. პირველი საახლო ომში დალუპულმა ჯარისკაცის ვაჟმა ფაშისტთა მიერ გადაბუგულ მშობლიურ სოფელში ააშენა. მაშინ იგი 15-ოდე წლის ყმაწვილი იყო. გავიდა ხანი, და ბუშმამ ახლა უკრაინის ქალაქების ქუჩებში ასობით მუშური ავტოგრაფი აქვს დატოვებული.

მშვიდობა. შრომა. მაისი. ეს სიტყვები მოჩანს ტრანსპარანტებზე კოლექტივების სადღესასწაულო პატაკების გვერდით, ხუთწლედის სადაგ დღეებში თითოეული სიტყვა ადასტურებს დამკვრელური მუშაობის აქტობრივ ნაყოფს, მშვიდობის, მეგობრობის, ურთიერთგაგების ოჯახის ეკონომიკური ძლიერება.

ბაქო

საბჭოთა აზერბაიჯანის საიუბილეო — მესამოცე გაზაფხულის განსაკუთრებით სადღესასწაულო გამოდგა საზღვაო მენავთობანალი ისმაილოვისათვის. პირველი მაისის დამდეგს მას, ისევე როგორც ხუთწლეულის წარმატებით შესრულებისათვის გაჯილდოებული სოციალისტური შეჯიბრების სხვა ინიციატორებს, რესპუბლიკური სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

ახალ ლაბორატორიაში, ბეჭრნ, რომლებმაც უკვე გახსნეს მესამე პირადი ხუთწლედის ანგარიში, დღეს საზეიმო კოლონებში მოდიან. ხოლო იმათ შორის, ვინთვისაც შრომითი ვახტი 1 მაისს გრძელდებოდა, ალი ა. ა. ისმაილოვი. კასპიის ზღვაში შეკრილი ფოლადის კონსოლიდან სპეციალური კომეკის „ოლეკტივმა, რომელსაც იგი მეთაურობს, უპატაკა: სხვგრეგმა მიაღწია ნიშნულს — 3.500 მეტრს!

ისევე როგორც საზღვაო მენავთობეებმა, რესპუბლიკის მიღწევებში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ბაქოელ მშენებლებმა, ნავთობგადამამუშავებელებმა, მშენებლებმა, სოფლის მეურნეობის მშრომელებმა.

წითელ პანოებზე აკითხულობთ აზერბაიჯანის გამარჯვების პატაკს: „ხუთწლიანი გეგმა სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობის მიზედვით განაღდებულია!“.

ერევანი

თაიგულები, რომლებითაც გამოვიდნენ დემონსტრაციაზე სოფლიოის დედაქალაქის მშენებლები, მათ მიართვეს იმ ახალმოსახლეებმა, პირველი მაისის დამდეგს რომ მიიღეს ბინა. ალბათ, ყველაზე მეტი ყვავილი მაინც სოციალისტური შრომის გმირის გარნიკ მანასიანის კომპლექსური ბრიგადის მუშებს ჰქონდათ.

რესპუბლიკაში ბრიგადული იჯარის დანერგვის ინიციატორმა ამ კოლექტივმა ოთხ წელიწადში შეასრულა ორი ხუთწლედის გეგმა. მისი გამოცდილება — თავიდან ბოლომდე ააშენონ სახლი და გამზადებული ჩაიბარონ ობიექტი — ასობით ბრიგადამ გადაიღო. თვით ბრიგადირის შრომა კი სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიით აღინიშნა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა გ. ხ. მანასიანმა ხელი შეუწყო ბრიგადული იჯარის გავრცელებას მრეწველობაშიც — ახლა ამ მეთოდით მუშაობს რესპუბლიკის ბევრი საწარმოო კოლექტივი.

რიგა

პირველი მაისის დამდეგს რიგის საწარმოო გაერთიანება „ვეფის“ მუდმივი საშვები მიიღეს ლატვიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერებმა.

და დღეს მკვლევარები სადღესასწაულო საპირველმაისო კოლონებში კონსტრუქტორებთან და წარმოების ნოვატორებთან ერთად მოდიან. მათი ერთობლივი ძიებანი აუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს, ზოგავს დიდძალ ლითონს, უზრუნველყოფს შრომის უკეთეს პირობებს.

მეათე ხუთწლედში აკადემიის ინსტიტუტებმა სახალხო მეურნეობას გადასცეს ორასამდე დამთავრებული მეცნიერული ნაშუშევარი, რომელთა ეკონომიკური ეფექტი ათმილიონობით მანეთს შეადგენს. მეცნიერებისა და წარმოების ერთიანობის სიმბოლოდ გახდა შრომითი კოლექტივების პატაკები იმ წარმატებათა შესახებ, რომლებიც მათ მეცნიერებთან ერთად მოიპოვეს.

ყველა კონტინენტის მილიონობით მშრომელი საპირველმაისო დღესასწაულს ეგებება იმის მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ ხელი შეუწყოს ქვეყნად მშვიდობისა და დაძაბულობის შენელების შენარჩუნებას და დამკვიდრებას, გამალებული შეიარაღების შეწყვეტის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს ზოგიერთი სხვა ქვეყნის მმართველი წრეების აგრესიული გეგმების ჩაშლის საქმეს. ამ დღეებში ნაღარად გასისმის საბრძოლო ყიჟინა, რომელიც მშრომელ ადამიანებს მოუწოდებს გააძლიერონ ბრძოლა დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის, და საერთაშორისო სოლიდარობის, ერთიანობისა და შეკავშირების მეოხებით მძლავრი დაბარკოლება ამმართონ იმპერიალიზმის ავბედითი ზარახვების გზაზე.

პრაღა. ასიათასობით მშრომელი შეიკრიბა ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქის მთავარ მოედანზე. საპირველმაისო მიტინგზე გამოსვლისას ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა გ. ჰუსაკმა განაცხადა, რომ ჩეხთა და სლოვაკთა გულსა და ხსოვნაში მარად დარჩება საბჭოთა ხალხის უმაგალითო გმირობა, მსხვერპლი, რომელიც მან გაიღო ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებისათვის.

მთელი მსოფლიოს მშრომელთა დღესასწაულს ვგმობ ძმურად მივესალმებით საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და მთელ საბჭოთა ხალხს. ვუსურვებთ მას ახალ გამარჯვებებს კომუნიზმის მშენებლობაში, ქვეყნად მშვიდობის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში, თქვა მან. ჩვენ კვლავაც განვავითარებთ და განვამტკიცებთ ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობას და თანამშრომლობას.

ბერლინი, ალისფერი დროშებითა და ტრანსპარანტებით მორთული გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის ცენტრალური მაგისტრალი — კარლ მარქს-ალეი. აქ გაიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელთა საპირველმაისო დემონსტრაცია. ტრიბუნაზე არიან გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ტ. ჰაიკოი, ბულგარეთის კომუნისტური პარტიისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სხვა ხელმძღვანელები.

სადღესასწაულო დემონსტრაციები და ზეიმობა გაიმართა ბულგარეთის ყველა ქალაქსა და სოფელში.

ვარშავა. პოლონეთის დედაქალაქში გამართული დემონსტრაციის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. გერეკმა.

ახლანდელ პირველ მაისს ჩვენ ვდღესასწაულობთ მაღალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, ხორცს ვასხამთ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის VIII ყრილობის გადაწყვეტილებებს, თქვა მან.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა განაცხადა: „გულითადად და ძმურად მივულოცავთ ჩვენს ახლო და საიმედო მეგობრებს — საბჭოთა ადამიანებს, ვუსურვებთ მათ ახალ შესანიშნავ წარმატებებს კომუნისტურ მშენებლობაში. ვულოცავთ სოციალისტური თანამეგობრობის ხალხებს, დაე, მტკიცდებოდეს ჩვენი მეგობრობა და თანამშრომლობა“.

ბუდაპეშტი. დღეს უნგრეთის დედაქალაქის მეოთხედ მილიონზე მეტი მშრომელი გამოვიდა სადღესასწაულო დემონსტრაციაზე. საღამომ მოედანზე აღმართულ ტრიბუნებზე იყვნენ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. კადარი, სხვა პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელები.

უნგრეთის ტელევიზიისადმი ინტერვიუში ი. კადარმა თქვა, რომ ახლანდელი გაზაფხული უნგრეთის ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენების ხანაა. უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის XII ყრილობა, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრებისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნების წინ გაძლიერებული შრომითი აღმავლობა მკაფიოდ მოწმობს პარტიისა და ხალხის ერთიანობას.

ულან-ბატორი. საზეიმოდ გამოფაფერგდა სუხე-ბატორის მოედანი — მონღოლეთის დედაქალაქის სადღესასწაულო მანიფესტაციის ცენტრი. მოედნისპირა შეროდა სადღესასწაულო დემონსტრაციაზე, რომელიც ბულგარეთის დედაქალაქის მთავარ მოედანზე — 9 სექტემბრის მოედანზე გაიმართა. გ. დიმიტროვის მავზოლეუმის ტრიბუნიდან დემონსტრაციის მონაწილეებს მიესალმნენ ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ტ. ჟივკოვი, ბულგარეთის კომუნისტური პარტიისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სხვა ხელმძღვანელები.

ბონი. „არ დაგანებებთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გადაქცევას ამერიკული ბირთვული რაკეტების სასტარტო მოედად“, „ბოლო მოეღოს გამალებულ შეიარაღებას“, „ჩვენ სოციალისტურ ქვეყნებთან მშვიდობიანი თანამშრომლობა გვინდა“, „შეწყდეს მონოპოლიების შეტევა მშრომელთა უფლებების წინააღმდეგ“ — ამ ლოზუნგებით გაიმართა ჰამბურგში, შტუტგარტში, მიუნხენში, ბრაუნშვაიგში, მაინცში, ჰესენში, ლიდერიკუზენსა და სხვა ქალაქებში საპირველმაისო დემონსტრაციები და მიტინგები, რომლებიც გერმანელთა კომპარტიამ მოაწყო. ამ ღონისძიებებში მონაწილეობდა ათიათასობით მუშა და მოსამსახურე, მოსწავლე, სტუდენტი, პროგრესული ინტელიგენციის წარმომადგენელი. მიტინგებზე გამოვიდნენ გერმანელთა კომპარტიის თავმჯდომარე ჰ. მისი, დასავლეთგერმანელ კომუნისტთა სხვა ხელმძღვანელები.

ჰესენის მაარის ქალაქ კასელში დღეს დაიწყო მშვიდობისათვის მებრძოლთა ესტაფეტა. 10 დღის შემდეგ იგი დამთავრდება მანჰაიმში, სადაც გაიმართება გერმანიის ფედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი. 1980 წლის 1 მაისის ზეიმი. მშრომელთა წარმომადგენლების დემონსტრაცია. სურათზე: ცენტრალურ ტრიბუნაზე.

ჯ. ლომაძისა და ს. კილაძის ფოტო.

ხუთწლედის დამამთავრებელ წელს—ჩვენი დამკვრელური შრომა!

(დასასრული)

...ბატატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. დ. გა...ბუნია.

...რუსთაველის პროსპექტზე პი...ველნი შემოვიდნენ ლენინის ...რაიონის კოლექტივები — სამ...ლო შეჯიბრების გამარჯვებულნი, ...ბათი შვილები და შვილიშვილე...ბი, ვინც 80 წელზე მეტი ხნის წინ ...ოფყო ორმაღლელში პირველი ...ბალელური მაისობა საქართ...ველოში: ესენი იყვნენ რკინიგზის ...ბავარი სახელოსნოების მუშები. ...ბიერკვაკასიის უძველესი საწარ...ბოს, მოგვიანებით — თბილისის ...ელექტროვაგონშემკეთებელი ქა...ბხნის მშრომელები საბჭოთა ხუ...ბოლედების პირველ წლებში ...ბრომითი მამაცობის მაგალითით ...ურთას ასხამდნენ დანარჩენს. ...ბ ჩვენს რესპუბლიკაში პირველ...ად იშვა სტახანოვური მოძრა...ობა, ბევრი სხვა შესანიშნავი თა...ბსნობა.

ამ ბოლო წლებში ქარხანა ...ბოლიანად განახლდა. დღეს მას ...ბერი ახალგაზრდობა დაუდგა — ...ბმდინარეობს საწარმოს გენერა...ლური რეკონსტრუქცია.

ყველა ამ გარდაქმნის ერთ...ერთი მომსწრეა ალექსანდრე ...ივანეს ძე ციგლოვი, რომელმაც ...ქარხანაში თითქმის ნახევარ საუ...ნუნეს იმუშავა. მისი ბიოგრაფია ...ტიპურია საწარმოს ვეტერანები...სათვის. იგი მონაწილეობდა ბა...თუმის 1921 წლის შეიარაღებულ ...აჯანყებაში. კომკავშრომელი საგ...ურით მსახურობდა კასპის ...ფლოტილიაში, დემობილიზაციის ...შემდეგ კი ორთქმლმავალვაგონშე...კეთებელ ქარხანას მიაშურა, მან ...ეკვე კარგა ხანია სპენსიო ასაკი ...მიღწია, მაგრამ შრომას ვერ ...ელევა. იგი ქარხნის მეცნიერულ-...ტექნიკური ინფორმაციის სამსა...ურს ხელმძღვანელობს.

ვეტერანმა სიამაყით თქვა, რომ ...ქარხნის კოლექტივმა ბელადის ...სიიუბილეოდ რაიონში ერთ-ერ...მა პირველმა უპატაკა მეათე ...ხუთწლედის დამამთავრებელი ...წლის ოთხი თვის დავალებათა ...ვადამდე შესრულება.

პირველი მაისობების ორგანი...ზატორთა მემკვიდრენი — ლენი...ნის რაიონის საწარმოთა მუშა...მოსამსახურენი დღეს უპატაკებ...ენ სამშობლოს, რომ აქ არც ...ერთი ჩამორჩენილი საწარმო არ ...არის.

მწყობრ ინტერნაციონალურ ...კოლონებად შეიკრიბნენ სადღე...სასწაულო დემონსტრაციას ქალა...ქის ყველაზე ახალგაზრდა უბა...ნის — გლდანის რაიონის მშრომ...ელთა წარმომადგენლები. რაიო...ნი, თანასწორთა შორის თანას...წორი, ხვდება თვის პირველ ...მაისობას. მის ტერიტორიაზე გა...ნლაგებულია მრეწველობის, ...ტრანსპორტის, სამშენებლო ინ...დუსტრიის დაახლოებით ორმო...ცდაათი საწარმო, სკოლა, ტექნი...კუმი, კულტურის დაწესებულება. ...გლდანის რაიონის მშრომელებმა ...ახალ წარმატებებს მიაღწიეს სა...გეგმო დავალებათა ვადამდე განა...ღებისა და გადაჭარბებით შე...სრულებისათვის განაცხადეს სო...ციალისტურ შეჯიბრებაში. რაიო...ნის მარტო 25 სამრეწველო სა...წარმო ხუთწლედის დამამთავრე...ბელ წელს გამოიმუშავებს 430 ...მილიონ მანეთისაზე მეტ პრო...დუქციას. თითქმის ყოველ მეო...თხე ნაკეთობას სახელმწიფო ხა...რისხის ნიშანი აქვს მინიჭებული.

